გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდღეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია" პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მ. 25 კ.**

ტფილისი, 22 აპრილი

ვისაც კი ცოტად მაინც თვალყური უდევნებია მისთვის თუ,—რა მდგომარეობაშია ეხლანდელი სამრეწველო და სამეურნეო წარმოება სრულიად რუსეთისა, ეცოდინება, რომ ამ ჟამად ბევრმა რუსეთის ეკონომისტებმა ყველამ ყურადღება მიაქცია. თავიანთი კარაბადინები გადაშალეს და წამალისა და მალამოს რჩევა დაიწყეს. თვითვეული ამას ამბობდა და ამბობს: თუ ჩემიერ ნარჩევს გზას დაადგებიან, საეკონომიო წალკოტი სრულიად რუსეთისა მთლად გადიშლება და აყვავდება.

სხვათა და სხვათა კარაბადინებში ნაპოვნ მალამოთა შორის, რომლითაც ან ერთს, ან მეორეს ჰსურს წყლული სამრეწველო და სამეურნეო წარმოებისა გაამთელოს,—გამოფენების გამართვაა. მართლადა, წლევანდელს წელიწადს ყველა ამ გამოფენამ გაიტაცა და თითქო შესაყარი და გადამდები რამ სენიაო, დიდსა და პატარას ენაზედ სულ ეგ აკერია. ჯერ ეს წელიწადი იმითი დაიწყო, რომ მოსკოვში მეთევზეობის და თევზეულობის გამოფენა გაიმართა; აპირობენ გამართვას «სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენისას» ხარკოვში, «ურალის სამრეწველო გამოფენას» ეკატერინებურგში; განზრახვა იყო გაემართნათ პეტერბურგში „თევზის მოშენებისა და თევზის-ჭერის გამოფენა სრულიად რუსეთისა", მაგრამ ჯერხანად სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეაყენა და სამერმისოდ გადასდვეს. არც ჩვენი მხარე გადურჩა ამ გამოფენის წყურვილსა.

ჩვენც ჩვენის მხრით კავკასიის სამეურნეო გამოფენა გავმართოთო, ბძანა ბ-ნმა დინგელშტეტმა და არამც თუ ბძანა, მთელი მოხსენება წაიკითხა ამ საგანზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში და ჰსურდა ამავე 1887 წელს გამართულიყო ტფილისში სრულიად კავკასიის გამოფენა.

რით და რის გამოა სანატრელი გამოფენა? ამბობენ, რომ გამოფენა მწარმოებელს იმით ახალისებს, აქეზებს თავისი ნაწარმოები გამოიტანოს გამოფენაზეო, რომ თუ მოსაწონია ჯილდოს მიიღებს. ამ ჯილდოს იმედით ყველა ეცდება ნაწარმოები, რაც შესაძლოა, განაკარგოს და ამ გზით განკარგდება თვით წარმოებაცაო. რაკი ყველა თუ უმეტესი ნაწილი გამოიტანს გამოფენაზედ თავის ნაწარმოებს, ჩვენი ინტელიგენციაც დაინახავს სრულს სურათს იმ მდგომარეობისას, რაშიაც იმყოფება სასოფლო და სამრეწველო წარმოებაო. სამზღვარ გარეთიდამაც გვეწვევიანო, ჰნახვენ ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენს მშვენიერს ნაწარმოებს და აღებ-მიცემობას გაგვიმართვენო. თვითონ მწარმოებელნიც ერთმანეთს დაინახვენ, თავის მეზობელს და მოძმეს გაიცნობენ, ერთმანეთის ავსა და კარგს გაიგებენო, და სხვანი და სხვანი.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, თუ მართლა ეგრეა. ეგრე კია? ეგ მართალი მარტო მაშინ იქნება, თუ კაცს დაანახვებთ ერთს მშვენიერს რომელსამე სასახლეს ტფილისში და ამით აფიქრებინებთ, რომ მთელი საქართველოს ერი ამისთანა სასახლეებში ქეიფობს. მართალია, მშვენიერად მორთულ უჯრებში მინის სახურავ ქვეშ გამოწყობილი იქმნება მშვენიერი, თეთრი და საოცარი მატყლი, საოცარი და მშვენიერი ხორბალი, ბამბა, აბრეშუმი, ღვინო, ჩითი, ნაქსოვი და სხვა საუცხოვოდ და საგანგებოდ გაკეთებული, ან მოყვანილი ნივთი რამ. ნუ თუ ეს მართალი სურათი იქნება მისი, რაც მართლა და ნამდვილად არის? ის საოცარი ნივთები, რაც გამოფენაზედ გამოაქვთ, რომ სანთლით ეძებოთ გამოფენის სადგურის გარედ ხომ ვეღარსად ჰნახავთ! იგინი ხომ სულ ნიმუშებია და სანიმუშოდ განგებ გაკეთებული თუ მოყვანილი; ხომ ამ ნიმუშის საქონელს ვერსად იპოვით სასყიდლად, იმიტომ-რომ ჩვენებური უთავბოლო ბაზარი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო მაგ ქებათა ქების ღირს საქონელს მამინაცვლად ეკიდება და თვითონ საზოგადოებამაც და ერმაც კარგად იცის, რომ ყველა ეგ სახელისათვის არის და არა სახრავისათვის, ყველა ეგ ნამდვილი შვილი კი არ არის ჩვენის მეურნეობისა, არამედ გერია, აზიზად და სათუთად გაზდილი და მოკაზმოპრანჭული მამინაცვლისაგან თავმოწონებისათვის.

ჩვენის ფიქრით, არა-მსოფლიო გამოფენის აზრი უმთავრესად და ყოველთ უწინარეს ის უნდა იყოს, რომ ვნახოთ იგი, რაც სახელწოდებულ ერის საეკონომიო საგზალს შეადგენს, რითაც ერი საყოველდღეოდ ჰრჩება, იკვებება, აღებ-მიცემობს და ჭირს და სიხარულს ამა ქვეყნისას ასე თუ ისე უძლვება. აქ იმისთანა ნიმუშია საჭირო, რომელიც ტიპად მისაღებია ამა-და-ამ ერის წარმოებისა, რომელიც გვანიშნებს სიკეთეს ზოგადის ნაწარმოებისას და არა მარტო განსაკუთრებულისას და საგანგებოდ ნამოქმედარისას. ერის საეკონომიო მდგომარეობის ცოდნისათვის მარტო ესეთი გამოფენაა საჭირო, თუნდ ამ გამოფენაზედ ერთიც არ იყოს ნიმუში საგანგებოდ გაკეთებულისა, თუ მოყვანილისა. მხოლოდ მაშინ წარმოუდგება კაცს გამოფენაზე ერი თავის ორთა-შუა ძალ-ღონით, თავის ეკონომიურ ყოფის მეტ-ნაკლებობით, რადგანაც ამისი მაჩვენებელი მარტო შუა-სახეა ნაწარმოებისა და არა-ცალკე საგანგებო რამ.

შესაძლოა და საჭიროც, რასაკვირველია, საგანგებოდ ნამოქმედარის ნახვაცა, რომ კაცს თვალწინ ჰქონდეს მაგალითი იმისი თუ,—სადამდე მისაღწევია ამა-და-ამ დროს და ამა-და-ამ ადგილს განკარგება რომელისამე ნივთისა, ან საქონლისა, თუ კაცი ცოდნით, გამჭრიახობით და ბეჯითად შეუდგება საქმეს. ხოლო ეგ ერის საეკონომიო ძალღონის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ თვითვეულის ცალკე ოსტატისა,—და ამისთანა ოსტატების ჩამოთვლას ჩვენში ადამიანის ათი თითიც ეყოფა. ჩვენთვის, რომელთაც არა ვიცით-რა ჩვენის ქვეყნისა, უფრო საჭიროა იმისთანა ნაწარმოების გამოფენა, რომელიც გვანიშნებს რაც ჩვენში საყოველდღეოა და არა იშვიათი და საგანგებო; რაც ჩვენში ათასში ცხრაასი მაინც არის და არა ათასში ერთია მარტო გამოსარჩევი და თითით საჩვენებელი.

ჯერ ერთი ეს ვსთქვათ, რომ იმისთანა გამოფენაში რომელსაც მართვენ ხოლმე ვითომდა მწარმოებელის სახელითა და მის საცოდნელად და გამოსაკეთებლად, მწარმოებელი თითქმის წრეს გარეშე ჰრჩება და ამ გამოფენისაგან არც ეცივება და არც ეცხუნება. წამ-დაუწუმ კი მწარმოებელს ახსენებენ, მწარმოებელის საბედნიეროდ ჰნაღვლობენ და მართვენ გამოფენას. საინტერესოა შევიტყოთ,—რა ნუგბარი ერგებათ ხოლმე თვით მწარმოებლებს? თქმა არ უნდა, კაი საქმეა უკეთესმა მწარმოებელმა ჯილდო მიიღოს, კაი საქმეა თუ თავისი არა, სხვისი კარგად ნაკეთები ჰნახოს და ისწავლოს, მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ: რომელს გამოფენაში მიუღია მონაწილეობა თვით მწარმოებელს? ან როგორ მიიღოს, თუ გამოფენა მარტო საგანგებოდ ნაკეთებს ეგებება სიხარულით და საყოველ-დღეოზედ კი ცხვირს მაღლა იწევს? ამ შემთხვევაში გამოფენა იშვიათს ჰთხოულობს და მწარმოებელი კი საზოგადოდ იშვიათის მკეთებელი არ არის. იშვიათის გამომტანნი კი ცალკე კაცნი არიან და არა კრებული ზოგად მწარმოებელთა. ამიტომაც მოხდება ხოლმე ის სასაცილო ამბავი, რომ გამოფენის ჯილდო ხშირად იმას შეხვდება ხოლმე, ვისაც დაჯილდოებულის საგნის შესაქმნელად ხელიც არ გაუნძრევია. ვინ არ იცის, რომ «სრულიად რუსეთის გამოფენაზედ» პეტრეს მაგაროვმა მიიღო ჯილდო კარგის კახურის ღვინისათვის და ვგონებთ არა ერთხელ და ორჯელაც, მაგრამ ამასთან ვინ არ იცის, რომ პე-

# ფელეტონი

## სამეცნიერო ამბები

სადღეგრძელო.—რა აზრი აქვს ამ ჩვეულებასა?—სადა აქვს სათავე?—უწყალო, მავნე და განსადევნი ჩვეულება.—სურამის ციხის ამბავი.—ცოცხალის კაცის დატანება კედელში.—დიდის ხნის ამბავი არ არის.—კედელში დატანებული დედის-ერთა შვილი.—უმანკო ყმაწვილი ქალი.—დაწველილი ხიდი.—სერბული თქმულობა.—როგორ იცვალა დღეს უწინდელი ჩვეულება?—რა აზრი ჰქონდა ამ ჩვეულებასა?—ქვეყნეთის ავი-სულები.—ასეთია ჩვეულების ძალა!

წარსულს ფელეტონში ვთქვით, რომ არის ბევრი ისეთი ჩვეულება, რომელსაც აღარც აზრი აქვს და აღარც მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენ კი დღესაც მტკიცედ ვადგევართ. ერთი ამ გვარი ჩვეულება დღესაც ყველგან მიღებულია როგორც ჩვენში, ისე ბევრს სხვა ქვეყნებშიაც. ეს ჩვეულება სადღეგრძელოს სმაა. ისე სადილი და ღვინის სმა არ იქნება ჩვენში, რომ უთუოდ ყველას სადღეგრძელო არ დალიონ და ყოველ-გვარი სიკეთე არ ინატრონ იმისათვის, ვის სადღეგრძელოსაც ჰსმენ.

რა აზრი აქვს ამ ჩვეულებას? ჩვენ რომ ღვინო დავლიოთ, ამით სხვას რა სიკეთე უნდა მოვუმატოთ, ამითი დღეგრძელობა როგორ უნდა შევძინოთ ადამიანსა. მართალია, დღეს სრულიად უმნიშვნელოა ეს ჩვეულება,—ყველანი კი მაგრად ვადგევართ ამ ჩვეულებასა და ვასრულებთ. რადა? იმიტომ-რომ ერთს დროს ამ ჩვეულებასაც თავისი აზრი და საბუთი ჰქონდა.

ძველს დროში სადღეგრძელოს სმას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საწირავსა, ზვარაკის დაკვლას ხატობაში. ღვინოსა ჰსვამდნენ რომელისამე ღმერთის სადიდებლად ან მკვდრის მოსახსენებლად. როდესაც ქრისტიანობა შემოვიდა, მაშინ ძველის ღმერთების მაგიერ, ქრისტესა, ღვთისმშობელისა და წმინდანების სადიდე[illegible]ლად დაიწყეს ღვინის სმა. ღვინოსა ჰსვამდნენ და ამასთან სთხოვდნენ წმინდანებსა, რომ თავიანთი მეოხება, მოწყალება არ მოეკლოთ ამათ მიცვალებულებისათვის. ჩრდილოეთ-ევროპაში, მაგალითად, სკანდინავიაში, ეკლესიებში თასები აქვთ შენახული და ყოველ წელს ეს თასი მღვდელმა უნდა აკურთხოს. ყველა, ვინც ამ თასიდგან ღვინის დალევას ეღირსება, დარწმუნებულია, რომ წმინდანის მადლი უთუოდ გადმოვა იმაზედ.

უწინ რომ სადღეგრძელოს ასეთი აზრი უნდა ჰქონოდა, როგორც ზემოდა ვსთქვით, ამას აშკარად გვიმტკიცებს ის ჩვეულება, რომელიც ჩვენში დღესაც არის დარჩენილი. დღესაც იციან ჩვენში, რომ დიდ სადილებზე ჯერ უთუოდ ღმერთს ახსენებენ და სადილს უთუოდ საღვთისმშობლოთი და საყველა-წმინდოთი გაათავებენ. გარდა ამისა სადილზე ხშირად ღვინოს გადააქცევენ ხოლმე მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. ყველა ეს ცხადად გვიჩვენებს, სადა აქვს სათავე ამ ჩვეულებასა.

თუმცა ცოტა უფრო ძნელი მისახვედრია, მაგრამ ეჭვი კი არ არის, რომ ცოცხლების სადღეგრძელოს სმასაც ისეთივე აზრი უნდა ჰქონდეს. წინად თუ მარტო წმინდანების პატივისსაცემად და მიცვალებულის მოსახსენებლად სვამდნენ ღვინოსა, ჰკუას ახლოა, რომ მერე, აზრად მოსვლოდეთ, ასეთივე პატივი ეცათ ცოცხლებისათვისაც. რასაკვირველია, ასეთი ჩვეულება პირველად იქ უნდა დაბადებულიყო, სადაც ერმა პირველად შეიგნო ადამიანის ადამიანური ღირსება და ამ ღირსების პატივის-ცემა. ასეც გვიჩვენებს ისტორია. ძველს დროში განათლებულს ბერძნებსა ჰქონდათ ეს ჩვეულება, ამათგან მერე რომაელებმაც გადმოიღეს და რომაელებიდგან სხვა ევროპიელებმაც.

კარგი იქნებოდა, გამოეკვლია ვისმე, ჩვენში რამდენად ძველია ეს ჩვეულება.

* * *

ეს ჩვეულება არც გასაკიცხია და, ვგონებთ, არც განსადევნი. სადღეგრძელოს დალევა თუ დღეგრძელობას მართლა არაფის მოუმატებს, ხომ არც მოაკლებს. მაგრამ, როგორც წინა ფელეტონშიაც მოვიხსენიეთ, არის ისეთი ჩვეულებაც, რომელიც უწყალოა, მავნე და ამიტომ სასტიკად განსადევნი. ერთი ამისთანა ჩვეულება უწინ ჩვენშიაც ყოფილა, მაგრამ დღეს კი დაუვიწყნიათ, და მადლობა ღმერთსაც. და რომ ეს ჩვეულება ჩვენში მართლა ყოფილა, ამას აშკარად გვიმტკიცებს ერთი ამბავი, რომელიც დღესაც ახსოვს ჩვენს ხალხსა. ჩვენ ვამბობთ სურამის ციხის ამბავსა.

ბევრს გაეგონება ერთი ლექსი, რომელსაც დღევანდლამდინ არ ივიწყებს ჩვენი ხალხი. აი ეს ლექსი:

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,—
ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო.

ასე სტირის დედა თავის შვილსა, ასე ეხვეწება უსულო და უხორცო შენობასა. ამით უნდა თავი შეაბრალოს ციხესა და შვილი კარგად შეა-

ტრუს მაგაროვს კარგის კახურის ღვინის ბრალი იმოდენად დაედება, რამოდენადაც ჩინეთის ბოღდიხანსა. რა ნუგეშია თვითონ ღვინის მწარმოებელისათვის, რომ სირაჯმა მისგან ნაყიდს ღვინოში ჯილდო გაიკრას! აბა რა შუაშია აქ მწარმოებელი? სად არის იმისი სახელი?

ჩვენის ფიქრით, რაკი გამოფენა იმ აზრზედ იქნება მარტო აგებული, რომ საგანგებო ნაწარმოების კოლლექციით ისახელოს თავი, მწარმოებელი, რომელიც საზოგადოდ ორთა-შუა სიკეთის მქონებელს საქონელს ამზადებს, მორიდებული იქმნება და მარტო მექარხნეები, ვაჭრები და ჩარჩები თუ გამოიყენებენ გამოფენას იმ მხრით, რომ სახელი გაითქვან, დუქანზედ დააწერონ „დაჯილდოებულია ამა-და-ამ გამოფენაზედ“ და მუშტარი მოიპოვონ. აბა ამისთანა ჯილდომიღებულს ვაჭარს, მექარხნეს, თუ ჩარჩსა უთხარით: იმ ნიმუშის საქონელი მინდა ვიყიდო—რაც შენ გამოფენაზედ გქონდა და მამყიდე, თუ სასაცილოდ არ აგიგდოთ, როგორც უგუნური მტრედი.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გვეკითხებიან საქართველოს სხვა-და-სხვა მხრიდამ, იბეჭდება თუ არა, ან როდის იქნება მზად სურათებიანი «ვეფხვის ტყაოსანიო». ამაზედ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ცნობის-მოყვარეთა, რომ სურათები „ვეფხვის ტყაოსნისათვის“ დიდი ხანია დახატულია ზიჩისაგან, რამდენიმე მათგანი უკვე დაიბეჭდა ლეიპციგში და მოუვიდა კიდეც იმ კომიტეტს, რომელსაც „ვეფხვის ტყაოსნის“ ბეჭდვა აქვს მინდობილი. დანარჩენის სურათების კორრექტურაც მზად არის, როგორც შევიტყეთ და მალე დაიბეჭდება. ასო მთავრულები, არშიები, სხვა-და-სხვა წვრილი სურათები და ნახატები წიგნში ჩასართველად მზადდება ამ ჟამად ტფილისში ბ-ნ ტატიშვილისაგან. როცა ყოველივე ეს დამზადდება, მაშინ შეუდგებიან თვით წიგნის ბეჭდვას. იმედია, რომ ამ მოკლე ხანში ყველაფერი მზად იქნება და თვით წიგნის ბეჭდვაც დიდ ხანს არ გასტანს.

*** მომავალს კვირას, 3 მაისს, ქართულს თეატრში იქნება გამართული საიუბილეიო წარმოდგენა ბ-ნ ვასილ აბაშიძის ათის წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო არტისტი ქალები და კაცები, სხვათა-შორის ბ-ნი კ. ყიფიანი ბ-ნი კ. მესხი, რომელნიც საგანგებოდ ამ დღისათვის ჩამოვლენ ტფილისს. წარმოადგენენ შემდეგს პიესებს: რევიზორს, (2 და 3 მოქმედებას), ხათაბალას (2 და 3 მოქმედებასვე), ხანუმას (მე-2 მოქმედებას) და შილლერის „ავაზაკებს“ (მე-5 მოქმედებას). ფრანც მოორის როლს შეასრულებს ბ-ნი კ. მესხი. ანტრაქტებში ბ-ნ ვ. ალნიაშვილის მომღერალთა გუნდი იტყვის სხვა-და-სხვა ქართულს სიმღერებს. იქნება აგრეთვე საზანდარი.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ქართულის სათეატრო საქმისათვის ამ ათის წლის განმავლობაში, იმან კარგად იცის, რა ღვაწლიც მიუძღვის ამ პირველ-ხარისხოვანს და დიდად ნიჭიერს არტისტს ქართულის თეატრის წინაშე. ჩვენი საზოგადოება, იმედია, დააფასებს ბ-ნის აბაშიძის ათის წლის სამსახურს და ჯეროვანის თანაგრძნობით დააჯილდოვებს იმ არტისტს, რომელსაც არა ერთხელ და ორჯელ უსიამოვნებია თეატრის მაყურებელნი და ნამდვილ ჭეშმარიტის თამაშობით დაუტკბია თვით დიდად განვითარებულნი მოყვარენიც-კი სასცენო ხელოვნებისა.

*** კონფექტებისა და ხმელის ხილის მაღაზიის პატრონს ბ-ნს უზბაშევს მეტად კარგი მოსვლია ფიქრად, რომ თავის კონფექტები გაუხვევია ისეთს ქაღალდში, რომელზედაც დაბეჭდილია სხვა-და-სხვა ლექსები «ვეფხვის ტყაოსნისა». ქართველი საზოგადოება ძალიან თურმე ჰყიდულობს ამ კონფექტებს და დიდის სიამოვნებით კითხულობს კონფექტის ქაღალდებზედ დაბეჭდილს რუსთაველის სხვა-და-სხვა საანდაზო ლექსებსა. თვით კონფექტებიც კარგის ღირსებისაა და არც ძვირად ისყიდება.

*** კარგად ვერ იქცევა ცხენის რკინის გზის მმართველობა, რომ თავის ბილეთებზე ქართულადაც არა ჰბეჭდავს საჭირო ზედ-წარწერას. ამ ბილეთებს აწერია: „хранить до востребованія“. ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვები და ბილეთს, მიღების უმალვე, ან ჰხევს, ან გადააგდებს ხოლმე. როცა კონტროლიორი ჩამოუვლის ყველას და ითხოვს უკან ბილეთებს, ბევრს აღარა აქვს ხოლმე. ამის გამო ხშირად უსიამოვნება ხდება: რა ვიცი რა სწერია ბილეთზედაო, იძახის ხოლმე ხალხი ამ გვარს შემთხვევაში. ქართულად-კი რომ იყოს ზედ-წარწერა ბილეთზედ, წაიკითხავდნენ და გაიგებდნენ, რომ თუ ბილეთი არ შეინახა კაცმა, მეორედ მოუნდება ყიდვა. ჩვენის ფიქრით, ურიგო არ იქნება, რომ ათასის ჩხუბისა და უსიამოვნების ასაცილებლად, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ცხენს რკინის გზის მმართველობამ.

*** ხევიდამ გვწერენ: გამუდმებულმა ავდრებმა საქმე გაგვიჭირეს; მარტის ბოლოს თბილი წვიმები იყო. მას შემდეგ-კი აღდგომის წინა დღეებიდგან ამინდი შეიცვალა, წვიმას თოვლიც მოჰყვა და მუდამ დღე სწვიმს და თოვს; დღეში ერთხელ შუადღის შემდეგ გამოიდარებს, თოვლი გადნება, ატალახდება დედა-მიწა; ახლა ღამე ისევ გაავდრდება და მეორე დღეს შუადღემდე კვლავ სწვიმს და თოვს.

*** იქიდამვე გვწერენ: ავდრებმა ხვნას ძალიან შეუშალა ხელი, ასე რომ თუმცა სხვა დროს მოხევეები სახნავად აპრილის ნახევარს გავიდოდნენ ხოლმე, წელს კი კიდეც რომ გამოიდაროს მალე, მაინც ატალახებული დედა-მიწა გვიან გაშრება და ჩვენს მოხევეებს ამ აპრილის უკანასკნელს რიცხვებშიაც ძლივს ეღირსებათ ხნვა-თესვის დაწყობა.

თუმცა გაზაფხული ამისთანა ავდრიანია, მაგრამ წყალ-დიდობა კი არ არის. ამასი მიზეზი, როგორც მოგეხსენებათ, ის არის, რომ წლეულ ჩვენში ზამთარმა ძალიან უთოვლოდ გაიარაო.

*** გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ამბობს: საქალაქო სასკოლო კომიტეტის წევრმა თ. ბებუთოვმა წარუდგინა ამ კომიტეტს წინადადება, რომ ქალაქმა იყიდოს სახლები საქალაქო სკოლებისათვისაო.

*** ცხენის-რკინის გზის მმართველობას განზრახვა ჰქონდა ისეთი ვაგონებიც ჰქონოდა, რომლითაც მხოლოდ ბარგი უნდა გადაეზიდ-გადმოეზიდნა ხოლმე ერთის ადგილიდამ მეორემდე. ამაზე პოვოსკების პატრონებმა უსიამოვნება განაცხადეს და საქალაქო გამგეობას წარუდგინეს თხოვნა, რომ თუ მართლა ასეთი განზრახვა აქვს ცხენის-რკინის გზის მმართველობას, ჩვენ დავიღუპებით და ულუკმა-პუროდ დავრჩებითო. ამიტომ იშუამდგომლეთ, რომ მმართველობამ თავისი განზრახვა რამდენისამე წლით გადასდოსო. ეს საგანი გინიხილა საბჭომ და აღმოჩნდა, რომ მმართველობა ჯერ არა ჰფიქრობს თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს და ამიტომ მეპოვოსკეთა თხოვნა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული (გაზ. „ნოვოე ობოზ.“).

*** ამ ახლო ხანებში ალექსანდრეს ბაღში განზრახვა აქვთ გამართონ საერო სეირნობა და ლოტარეია-ალეგრი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ. ამიტომ საბჭო ამ სასწავლებლის საზოგადოებისა სთხოვს ყველა ტფილისის ვაჭართ, შესწირონ ამ ლოტარეისათვის, ვისაც რა შეუძლიან, მცირეოდენი რამ ნივთნი, რომლითაც ვაჭრობენ. ვისაც ჰსურს შესწიროს რამე ამ სასარგებლო საქმისათვის, შეუძლიან თავისი შეწირულობა მიიტანოს მთავარ-მმართებლის თანაშემწის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

*** აქამდე შემდეგის წესით იღებდნენ ხოლმე სოფლის მასწავლებელნი ჯამაგირს სამაზრო ხაზინიდამ. იყო თუ არა ამ ხაზინაში წარდგენილი სოფლის საზოგადოებისაგან სასკოლო ფული, მასწავლებელნი მაინც დაუბრკოლებლად იღებდნენ თავიანთ ჯამაგირს, რადგანაც უმაღლესი ბრძანება იყო, რომ როცა სასკოლო ფული არ არის წარდგენილი ხაზინაში, შეიძლება მასწავლებელთ ფული მიეცეთ საერო გადასახადების ფულიდამაო. ეხლა ეს ბრძანება მოსპობილი იქმნა. ამის გამო სოფლის მასწავლებელნი ხშირად უჯამაგიროდ სხედან და ელიან, რომ სოფლის საზოგადოებათ შეიტანონ სასკოლო ფული ხაზინაში. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა სთხოვა მაზრების უფროსთ, დააჩქარებინონ ყველა სოფლის საზოგადოებათ, სადაც-კი სკოლა არის გამართული, სასკოლო ფული თავ თავის დროზედ შეიტანონ ხოლმე ხაზინაში. კარგი იქმნებოდა, რომ ქუთაისის გუბერნიის დირექტორიც ასევე მოიქცეოდეს და დაიხსნიდეს მასწავლებელთ იმ გაჭირებიდამ, რომლის შესახებაც ამას წინად გვწერდა ზუგდიდის მაზრიდამ სოფელ კორცხელის სკოლის მასწავლებელი ერ. შარაშიძე.

*** 20 აპრილს 1 ნაწილში ოლგის ქუჩაზე იპოვეს ახლად დაბადებული ყმაწვილი - ქალი, რომელიც გაგზავნილ იქმნა საბების ინსტიტუტში.

*** 20 აპრილსავე მე-5 ნაწილში, დახურულ ბაზარში, ყაზახის მაზრის მცხოვრებელი ბეგი შამშად-ალა-სულთანოვი შეიპყრა ამავე მაზრის ბოქაულმა მელიქ ასლანოვმა; როცა ბოქაული წაეტანა სულთანოვს შესაპყრობად, ბეგმა სუბუქად დასჭრა ბოქაული სამს ალაგას. დამნაშავე შეიპყრეს და პოლიციაში წაიყვანეს.

### სია შემწირველთა

წიფასა და ფონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლშვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | |
|---|---|
| ილია ხოსიტაშვილისაგან . . | 1 მან. |
| წინად იყო . . . . . | 79—20 |
| სულ . . | 80—20 |

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბარსაოხო.** ხშირად შეხვდებით ხოლმე გაზეთებში, — ამა-და-ამ სოფელში სკოლა გაიმართა, ამა-და-ამ სოფელში დეპო დაარსდაო და სხვა ამ გვარს ამბებსა. წავიკითხავთ ამას და გვიამება

---

ნახვინოს. რა უნდა ამ ციხეში ვილაცა ზურაბსა, ამ დედის ერთა შვილსა, როგორც ჩვენი ერი მოგვითხრობს. დამწყვდეულია რაიმე ავ-კაცობისათვის? არა,—მაშინ დედა ციხეს არ შესტირებდა თავის უბედურებასა. ზურაბი თვით ციხის კედელშია დაყოლებული. რათა? ისეთი რა დანაშაულობა მიუძღვოდა განა, რომ ასე უწყალოდ დაუსჯიათ! არაფერი, — ზურაბის დანაშაულობა მხოლოდ ის იყო, რომ ბედმა წილად არგუნა ამაოდ - მორწმუნეობის მსხვერპლად გამხდარიყო. იყო დრო, როდესაც თითქმის მთელს კაცობრიობასა სწამდა, რომ ციხე, ხიდი, და სხვა ამ გვარი საშვილი-შვილო შენობა მკვიდრი არ იქნება, თუ ადამიანის სისხლით არ მოირწყა ამ შენობის საძირკველი.

ასე სჩადიოდნენ, მაგალითად, ძველი პიქტები, რომელნიც ჩრდილოეთ ინგლისს, შოტლანდიაში ცხოვრებდნენ. ასე უშენებიათ, ვითომ, პიქტებს ის დიდრონი და მკვიდრი შენობები, რომელიც დღესაც დარჩენილა.

რა ძრიელა სწამდა კაცობრიობას ეს ჩვეულება, ამას ცხადად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. სულ ორმოცი წელიწადი არ არის მას აქედ, რაც გერმანიის, ამ განათლებულის ქვეყნის ერთს ქალაქში განიზრახეს ხიდის აშენება. და იცით ეს განათლებული გერმანელები რას ამბობდნენ?—ყმაწვილი უნდა ჩავატანოთ საძირკველში, რომ ხიდი მაგარი იყოს და დიდხანს გასძლოსო.

***

იმავე გერმანიაში ერთს ციხეს აშენებდნენ. ციხე რომ უფრო მაგარი და მკვიდრი ყოფილიყო, ერთის დედისაგან დიდ ფასად იყიდეს შვილი და ეს ყმაწვილი დაატანეს ციხეს საძირკველში. კალატოზებმა რომ კედლის ამოყვანა დაიწყეს, ყმაწვილი რაღასაცა სჭამდა და თან ეძახოდა თურმე თავის დედასა, რომელიც აქვე იდგა: „დედი, გხედავ“, როდესაც კედელი წელამდინ მოადგა, ყმაწვილმა დაიძახა თურმე: დედი, ცოტად კიდევა გხედავ. როდესაც კედელი სრულიად ამოაშენეს და ყმაწვილის თავზე თალი გადაიყვანეს, საცოდავმა ყმაწვილმა თურმე ამინ დაძახება-ღა მოასწრო: „ვაიმე დედი, გავთავდი“.

დანიაში დღესაც არის დარჩენილი ასეთი ამბავი. დანიის სატახტო ქალაქის კოპენჰაგენის გარშემო ციხე-გალავნის აგება უნდოდათ, რამდენჯერმე დაიწყეს,—ააშენებდნენ თუ არა ცოტას, კედელი მაშინვე ისევ ინგრეოდა. ბოლოს გადასწყვიტეს ადამიანი დაეტანებინათ საძირკველში; იშოვეს ერთი პატარა უმანკო ქალი, დასვეს სტოლზე და რომ არ ეტირნა, გარშემო ხილი და სათამაშოები შემოუწყეს. ყმაწვილიც მაშინვე გაერთო, თამაშობდა და გულ-არხეინად შეექცეოდა ხილს. რა იცოდა ამ გულუბრყვილო, უმანკო ყმაწვილმა, რომ ამ დროს აქვე თორმეტს დახელოვნებულს კალატოზს კედელი ამოჰყვანდათ, თაღს აკეთებდნენ და ამასაც ამ თაღის ქვეშ მოაყოლებდნენ. ამის შემდეგ შეუდგნენ გალავნის შენებას და კედლები აღარ ინგრეოდაო.

იტალიაში დღესაც არის ერთი ხიდი მდინარე არტუზე. ამ ხიდს ააშენებდნენ თუ არა, მაშინვე ისევ ინგრეოდა. ბოლოს გადასწყვიტეს, ხიდის ამშენებელის ცოლი დაეტანებინათ საძირკველში. ასეცა ჰქნეს. ააშენეს ხიდი. ხიდი აღარ ჩაინგრა, მაგრამ გაიველიდნენ თუ არა ხიდზე, ხიდი მაშინვე ზანზარს დაიწყებდა და დღემდინაც ასე ზანზარებს. ამ გარემოების მიზეზი იტალიელებს აი რა ჰგონიათ. როდესაც საწყალი დედა-კაცი კვდებოდა კედელში, თურმე ასე დასწყევლა ეს ხიდი:—ისე ზანზარებდეს და ინძრეოდეს, როგორც პატარა ხისტოტი, როდესაც ზედ ჩიტი შემოჯდება ხოლმეო.

***

სლავიანებს ჩვეულებადა ჰქონდათ, როცა დიდს რასმე შენობას დააპირებდნენ, კაცს გაჰგზავნიდნენ ხოლმე, და რომელ ყმაწვილსაც პირველად შეჰხვდებოდა, უნდა დაეჭირა და მოეყვანა საძირკველში ჩასატანებლადა. ერთი სერბული თქმულება ასე მოგვითხრობს ერთს ამ გვარს ამბავსა.

სამს ძმას განუძრახებიათ სკუტარის ციხის აშენება. შესდგომიან საქმეს, მაგრამ საკვირველი საქმე მოსდიოდათ: რასაც დღით ააშენებდნენ, ის ღამით იქცეოდა. იფიქრეს ძმებმა, რა ღონე ვიღონოთო. მეტი ღონე არ არის, უთუოდ საძირკველში ადამიანი უნდა ჩავაყოლოთ, უამისოდ ციხე თავს არ დაიჭერსო. ვინ ჩავატანოთო? სამსავე ძმას ცოლები ჰყვანდათ და ცოლებს რიგ-რიგად ჯერი მოჰქონდათ მუშებისათვის. და აი იფიქრეს და ბოლოს ამაზედ დადგნენ: ვისმა ცოლმაც პირველად ჯერი მოიტანოს, ის დავაყოლოთ საძირკველშიო. ამასთანავე ძმებმა მტკიცე ფიცი დასდეს, რომ არც ერთმა თავის ცოლს წინად არ გაუმჟღავნოს ეს საშინელი საიდუმლოვო. უფროსმა ძმებმა გასტეხეს ფიცი და გააფრთხილეს ცოლები. ხოლო საწყალმა უმცროსის ძმის ცოლმა არა იცოდა-რა და გულ-არხეინად წამოიღო ჯერი მუშებთან. მოვიდა თუ არა საწყალი დედა-კაცი ციხესთან, ჩააყენეს საძირკველში და ზედ კედელი გადაუშენეს. საბრალო დედა მხოლოდ ერთსა სთხოვდა მუშებს,—კედელში პატარა ღია ადგილი დააგდეთ, რომ ჩემს ძუძუთა შვილს აქედგან მაინც მივაწვდინო ძუძუო. მუშებმა აუსრულეს დედას ეს

ხოლმე. მუხაურის და აბაშის საზოგადოებაში კი (ქუთაისის მაზრაში) ხსენებაც არ იყო, არამც თუ სკოლის გამართვაზე, არამედ სკოლის გამართვის სურვილზედაც, და აი ამ გაზაფხულს-კი „ივერიაში“ წავიკითხეთ, რომ აბაშის საზოგადოებას სკოლის გამართვის სურვილი აქვსო; ამ საქმეზედ ყრილობაც იყო და სასკოლო ადგილის ამორჩევაზედ არის საქმეო.

აბაშის საზოგადოებას, სადაც მოუწადინებიათ სკოლის გამართვა, შეადგენენ შემდეგი სოფლები: აბაშა, გამოჩინებული, გორმაღალი, ქვაუფდე, ნოღა, ჭოკნარი და ნიგორზღვა. ყველა ეს სოფლები მთა-გორებზედ არის გაშენებული, სივრცით დიდი ადგილი უჭირავთ და ერთი-მეორეზედაც კარგს მანძილზედ არიან დაშორებულნი: ჭოკნარიდგან გორმაღალამდე, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ექვსი ვერსტი მაინც იქმნება, ქვაუფდიდგან ნიგორზღვამდი აგრეთვე ამდენი იქნება და ამ სოფლების შუა ადგილი აბაშაა. აბაშას ერთს ნაწილს შეადგენს „ქაიჯვარა“, რომელსაც ასახელებდა ბ-ნი გახდელაკი საუკეთესო სასკოლო ადგილად. ხოლო საჯავახოს სადგური, სადაც ბ-ნ კ—იანს სკოლის სახლის აშენება მოუწადინია, ნიგორზღვის და ჭოკნარის ცოტად მოშორებით არის და საჯავახოს სადგურამდინ კი რვა ვერსტამდე იქნება, არა ნაკლები.

მაშ,—იტყვის მკითხველი,—საჯავახოს სადგურთან არ შეიძლება აბაშის საზოგადოებისათვის სკოლის გამართვა, რადგანაც ამ სიშორეზე უმაწვილები ვერ შესძლებენ სკოლაში სიარულსა და ქაიჯვარა ემჯობინებაო. ჩემის აზრით, ქაიჯვარაზედ სიარულიც გაუძნელდება უმაწვილს, რადგან ქვაუფდიდგან და გორმაღლიდგან ქაიჯვარამდი სამი-ოთხი ვერსტი სულ მთა და ღრიანკლები ექმნება ბავშვს სასიარულოდ. ბავშვი ამას ვერ შესძლებს და ადვილად შესაძლებელია, რომ ბავშვი თვეში ერთხელაც არ მოვიდეს სკოლაში და ასე ხომ ვერას ისწავლის?!

ისევ, ჩემის აზრით, ასე ემჯობინება: აბაშას, გამოჩინებულს, გორმაღალს, ქვაუფდეს და გამოღმა ნოღას, სადაც ოთხას კომლამდე მოსახლე იქმნება, უჯობთ, რომ ააშენონ სკოლა გლეხის ნაცვალაძის ადგილზე. ეს ადგილი, მართალია ისევ აბაშაშია, მაგრამ გორმაღალს და ქვაუფდეს თითქმის ერთის ვერსტით მაინც უახლოვდება. ამასთან ადგილიც რიგიანია და გარშემოც ხშირად დასახლებული სოფელი აკრავს; ცოტა გამოღმა ნოღას დაშორდება, მაგრამ იმდენადაც არა და გარდა ამისა გამოღმა ნოღაში ცოტა მოსახლეც არის. თუ გაუჭირდა ნოღელ ბავშვს შინიდგან სკოლაში სიარული, მშობელი აბაშაშივე დააყენებს ვისთანმე. ქაიჯვარა კი, გარდა თვითონ აბაშელებისა, ყველასთვის უფრო შორია და იქ ახლო-მახლოს მოსახლეც ცოტაა, სულ ხუთ კომლამდე იქნება, და ბავვი იქ ახლოს ბინას ვერ იშოვნის, რომ საჭიროებამ მოითხოვოს. ნიგორზღვას და ჭოკნარს კი ადვილად შეუძლიანთ, შეიერთონ მუხაურის საზოგადოებიდგან ბარსაჯავახო, დაფნარი რეჭით და წყალ-ფანჩურათურთ. ყველა სოფლებში ერთად არა ნაკლებ ოთხასის კომლისა შესდგება და ამათ ააშენონ სკოლა საჯავახოს სადგურზე, რომელიც ამ სოფლებისთვის შუა-ადგილია და ძლიერ მოხერხებულიც. გარდა ამისა, ამ სოფლებს, როგორც „ივერიაში“ იყო ნათქვამი, ბ-ნი ბ. კ—იანიც კარგს შემწეობას ჰპირდება.

მუხაურის საზოგადოებას შეადგენენ შემდეგი სოფლები: მუხაური (სამი სოფელია), ოფეთი (ორი დიდი სოფელია), გომი, ბარსაჯავახო, დაფნარი რეჭით და წყალფანჩურათი; უკეთუ ბარსაჯავახო და დაფნარი აბაშის საზოგადოებას შეუერთდება სკოლის აშენებაში, დანარჩენ სოფლებისათვის, სადაც 650 კომლამდე იქნება, სჯობია სკოლის აშენება გორმაღალში, რომელიც არის მშვენიერი ადგილი, გარშემო არტყია სამივე სოფელი მუხაურა, და ოფეთი და გომიც შორს არა აქვს.

გზების კეთებას ამ ორ საზოგადოებაში და მეტადრე მუხაურის საზოგადოებაში თითქმის სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. ცოტა წვიმა რომ მოვიდეს, ისეთი ტალახი ადგება ხოლმე სასოფლო გზებზე, რომ ცხენი მკერდამდე იმალება და თუ ბავშვს სამი და ოთხი ვერსი ასეთი სასიარულო გზა ექმნა სკოლამდი, რაღა ხეირი ექმნება იმათს სიარულს სკოლაში და სწავლას?

ჩვენ, ჩვენის აზრით, ეს ადგილები გვცანით საუმჯობესო სასკოლო ადგილებად და ვნახოთ, სხვანი რას იტყვიან.

ნარი

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მთელი ჟურნალ-გაზეთობა, როგორც უცხოეთისა, ისე რუსეთისა, სულ შნებელის საქმეზე ლაპარაკობს. მერე როგორ ლაპარაკობს! უთუოდ ომი ასტყდება საფრანგეთისა და გერმანიის შორისაო. შნებელის გულისთვის ომი? საკვირველია, ღმერთმანი! ვიღაც პოლიციის მოხელეს უკადრისად მოექცნენ გერმანელები, თუნდ უმიზეზოდ, უკანონოდ დაიჭირეს, და აი ერთის კაცის გულისათვის უნდა ათასობით და ათი-ათასობით ხალხი გასწყდეს ორსავე მხრით! ვსთქვათ, კიდეც, რომ გერმანელები ცუდად მოიქცნენ, შეურაცხყოფა მიაყენეს საფრანგეთს,—სასიამოვნო არ არის, რასაკვირველია, ასეთი ამბავი საფრანგეთის ღირსებისა და თავ-მოყვარეობისათვის, მაგრამ განა ღირს ამის გულისათვის ორმა დიდმა სახელმწიფომ ხმალს ხელი გაიკრას და ერთმანერთს ცემა-ტყეპა დაუწყონ? განა არ არის სხვა გზა ამ საქმის გასათავებლადა? თუ გერმანიას შეცდომით მოუვიდა შნებელის დაჭერა, განა ძნელია, თავის შეცდომა აღიაროს, ბოდიში მოიხადოს საფრანგეთის წინაშე? საფრანგეთიც დაკმაყოფილებული იქნება, მეტს რაღას მოსთხოვს გერმანიასა!? მაგრამ სიმი თუ ძალიან გაჭიმულია, საკმაოა ოდნავ თითის მიკარება, რომ სიმი მაშინვე გასწყდეს. სწორედ ასეთია საფრანგეთისა და გერმანიის შორის განწყობილება, ასეა გამწარებული, გაჭიანურებული ამათ შორის მტრობა, მძულვარება. როცა საქმე აქამდინ მისულა, საკვირველი არაფერი იქნება, რომ შნებელის დაჭერის გამოც ომი მოხდეს,—განა მოსკოვი ერთმა ნაპერწკალმა არ გადასწვა?

მაგრამ საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი არ იქნება. ასე გვარწმუნებს გაზეთი „Figaro“, რომელიც თავის აზრს პოლ დერულედის სიტყვებზე ამყარებს. დერულედი-კი, ხომ მოგეხსენებათ, დაუცხრომელი მტერია გერმანიისა და მთელს თავის სიცოცხლეს იმას ანდომებს, რომ გერმანიას როგორმე გადუხადოს სამაგიერო და ელზას-ლოტარინგია უკანვე წაართვას. აი ეს დერულედი თურმე რას ამბობს:

საფრანგეთს კარგი დრო ჰქონდა ამას წინად, გერმანიასთან ანგარიში გაეთავებინა, მაგრამ ვერ გაჰბედა, ვერ მოახერხა ესა. ახალმა არჩევანებმა დიდი ძალა შესძინეს ჩვენს რესპუბლიკასა. რუსეთს ჩვენი მხარე ეჭირა. იტალია ტორტმანობდა და არ იცოდა, ვის მისდგომოდა, საფრანგეთს თუ გერმანიასა. აი ამ დროს უნდა გამოეჩინა საფრანგეთს თავის ფხა, უნარი, შესდგომოდა საქმესა, მაგრამ მთავრობამ არაფერი გააკეთა, თუმცა თვით გერმანია თავის უკადრისის საქციელით და თავ-გასულობით კარგს საბუთს აძლევდა საქმის დასაწყებადა.

მერე რად გაჩუმდა საფრანგეთი, რას შეუშინდა? რატომ არ ამოიღო ხმა? რა'ა უნდა მიეწეროს ასეთი მხდალობა, სიჩუმე?

ამის მიზეზი ის არისო,—ამბობს დერულედი, რომ საფრანგეთის მთავრობას ვერ გაუბედნია სრულიად ომის დაწყება, რადგან თანასწორ ეშინიან როგორც გამარჯვებისა, ისე დამარცხებისა. თუ საფრანგეთი დამარცხდა, რესპუბლიკა დაირღვევაო, თუ საფრანგეთი გაიმარჯვებს, მაინც კიდევ გაიაო: ის გენერალი, რომელიც დაამარცხებს გერმანელებს და ამით დიდს სახელს მოიპოვებს, უთუოდ საფრანგეთის მბძანებელიც გახდება, როგორც ნაპოლეონიო.

ერთის სიტყვით, საფრანგეთი, დერულედის აზრით, ორ-წყალ-შუა ყოფილა: აქედ წამოვა, თუ იქით, მაინც განსაცდელი არ ასცდება. მოდი და ნუ მოერიდები ომსა! მოდი და ვიღაც შნებელის გულისათვის ომი დაიწყე!...

***

ამას წინად ერთს ფელეტონში გავაცნეთ მკითხველებს გამოჩენილ კრიტიკოსის ტენის აზრი ნაპოლეონზე. ტენის პირ-უთვნელი აზრი ბევრს არ ეპიტნავა, და ნაპოლეონის ახლო თუ შორეული ნათესავები ხომ სრულიად გულზე მოიყვანა. პრინცესა მატილდა ბონაპარტმა ხომ ისე იწყინა, რომ ტენი სახლშიაც აღარ შეუშვა, თუმცა წინად მატილდის ერთს უკეთესს მეგობრად ითვლებოდა ტენი. მატილდას მიზეზიც ჰქონდა, ასე მოქცეულიყო.

რას ჰფიქრობდით, ბატონო,—უთხრა თურმე მატილდამ ტენს, ნაპოლეონს რომ ეგრე ამდაბლებდით? ნაპოლეონი რომ არა ყოფილიყო, მე ხომ დღეს აპელსინები უნდა მეყიდა იტალიაში და ამ მდიდრად მორთულ სახლში ველარ მიგიღებდით თქვენ, როგორც ჩემს უკეთესს მეგობარსა.

ქალი რომ ასე ჰფიქრობდეს და სჯიდეს, საკვირველი არაფერია. და ეს კი გვაკვირვებს, რომ თვით ტენსაც ძალიან სწყენია მატილდასთან მეგობრობის მოსპობა. აი რა შეუჩივლია ტენს თავის მეგობრისათვის, გამოჩენილ რენანისათვის:

ვერასოდეს ვერ დავივიწყებ, რომ ერთის წიგნის გულისათვის ისეთი ერთგული მეგობარი დავკარგე, როგორც პრინცესა მატილდა იყო.

რენანმა ასე ანუგეშა თავისი შეწუხებული მეგობარი:

—მე უფრო უკეთესი მეგობარი დავთმე, ვიდრე პრინცესა, იმის გულისათვის, რომ თავისუფლად გამომეთქვა ჩემი აზრი.

— ვინ იყო ეგ მეგობარიო?

— ეკკლესიაო,—უპასუხა რენანმა.

დიახ, ჭეშმარიტების მოსამსახურემ ჭეშმარიტება უნდა ამჯობინოს ყოველს მეგობარსა?

# დეპეშა

22 აპრილი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა ინსტრუქცია, რომელიც მიეცა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, პოლიციის გამგებელს: პოლიციის განსაკუთრებული მართვა, შინაგან საქმეთა მინისტრის უფროსობითა და უპირველეს ხელმძღვანელობით, მიენდოს ერთს-ერთს მის ამხანაგს, რომლის მოვალეობაც ის იქნება, რომ ერთი მიმართულება მისცეს გუბერნატორებისა, ობერ-პოლიცმეისტერებისა და ქალაქის უფროსების მოქმედებას წინასწარვე ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად სახელმწიფო დანაშაულობათა და საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად. მინისტრის ამხანაგი,

---

თხოვნა და თორმეტის თვეის განმავლობაში პატარა ყმაწვილი მოჰყავანდათ დედასთანა. დღესაც სერბიის დედა-კაცები მიდიან თურმე ამ უბედურ დედის ქვითკირით ამოგებულ საფლავის სანახავად, საიდგანაც ვითომ დღესაც რძე გამოდის. ამ საფლავიდგან დღესაც სწვეთს მართლა წყალი და ციხის კედელზე ჩამოდის. ეს წყალი კირსა ჰრეცხს კედლიდგან და ამიტომ ისე თეთრია, რომ თითქოს მართლა რძეაო.

ინგლისელები მოგვითხრობენ ერთს ამბავსა ვიღაც გმირზე, რომელიც თურმე აშენებდა ციხესა, მაგრამ კედლებმა თავი ვერ დაიჭირეს, მინამ საძირკველში არ ჩააყოლეს ერთი ყმაწვილი, რომელიც უქმრო ქალმა ჰშვაო.

***

განათლებული ევროპა, რასაკვირველია, დღეს აღარ ჩაიდენს ასეთს ბარბაროსულს საქმესა, რომ ცოცხალი ადამიანი საძირკველში ჩაატანოს. მაგრამ ჩვეულებას ისეთი დიდი ძალა აქვს, რომ ევროპას დღესაც ვერ დაუვიწყნია ეს ჩვეულება, მხოლოდ ადამიანის მაგიერ დღეს სხვა რამეს ატანს საძირკველსა და კედელში. მაგალითად, გერმანიაში ხშირად უნახავთ, რომ საძირკველში ცარიელი კუბოები ჩაეტანებინოთ; დანიაში ეკკლესიას აშენებდნენ და რომ შენობა მკვიდრი და გამძლე გამომდგარიყო, საძირკველში ბატკანი ჩააყოლეს; აგრეთვე სასაფლაო რომ დაარსეს ამ ეკკლესიასთანა, პირველად ცოცხალი ცხენი დამარხეს.

საბერძნეთში დღესაცა სწამთ, რომ ის, ვინც პირველი გაივლის იმ ადგილას, სადაც ჯერ მარტო საძირკველია დაწყობილი, იმ წელიწადს უთუოდ მოკვდებაო. ეს უბედურება რომ თავიდგან აიცილონ, კალატოზები, საძირკველის პირველ ქვას ჩააგდებენ თუ არა, მაშინვე ან ბატკანს, ან შავს მამლაყინწას დაჰკლენ ხოლმე.

აგრეთვე გერმანიაში დღესაც მდაბიო ხალხი ახალს სახლს რომ ააშენებს, მინამ თითონ შევა შიგ საცხოვრებლადა, უთუოდ კატას ან ძაღლს შეაგდებს ხოლმე.

გერმანიაში დღესაც ახსოვთ, რომ უწინ, როცა გერმანიაში ახალს ხიდს ააშენებდნენ, ჯერ შავს მამალს გაუშვებდნენ ხიდზე და მერე თვითონ გაივლიდნენ.

ევროპაში და საზოგადოდ სხვა, ცოტად თუ ბევრად, განათლებულ ქვეყნებში დღეს ეს ბარბაროსული ჩვეულება გადავარდნილა, მაგრამ უწინ, ძველს დროში, რომ ეს ჩვეულება ისეთი საზარელი უნდა ყოფილიყო, როგორც ზემოდ ვაჩვენეთ, ამას აშკარად გვიმტკიცებს დღევანდელი გაუნათლებელი, გარეული ხალხი. აფრიკის, აზიის, ავსტრალიის გარეული ხალხი დღესაც, როცა დიდს რასმე შენობას იწყებს, ცოცხალს ადამიანს ატანს საძირკველში.

***

რა აზრი ჰქონდა ამ ჩვეულებასა? რად სჩადიოდი კაცობრიობა ასეთს საზარელს საქმესა? ეს ადამიანის გულქვაობისა, და კაცი-მჭამლობისაგან არ წარმოსდგებოდა, არამედ რწმენის ბრალი იყო, რწმენისა, რომელსაც კაცობრიობა მხოლოდ დღეს, როცა განათლდა და მეტი ცოდნა და სწავლა შეიძინა, ამაოდ-მორწმუნეობას ეძახის. ძველის დროის გაუნათლებელ და აგრეთვე დღევანდელ გარეულ კაცობრიობისათვის ეს მავნებელი ამაოდ-მორწმუნეობა - ამაოდ - მორწმუნეობა არ იყო.

ადამიანსა სწამდა, რომ ქვესკნეთს, დედა-მიწაში რაღაც ავი სულები სცხოვრებენ და ამ ავის სულების ბრალია, რომ შენობა თავს არ იჭერსო. ავი სულები ჯავრობენ, სწყრებიან, რომ იმათ არაფრით პატივს არა სცემენ, საწირავს არ აძლევენ. რა საწირავსა თხოულობს ეს განრისხებული ქვესკნეთის სული? უთუოდ დიდი რამ საწირავი უნდა იყოს, რომ ამ ავ სულს გული მოვუგოთ და ჩვენზედ წყალობის თვალი მოიღოსო,—ასე ეგონათ და აბა ადამიანის შეწირვაზე მეტი რაღა იქნება: აი სწორედ ამიტომაც ავის სულის საკურთხეველზე, საძირკველზე, ადამიანსა სწირავდნენ ზვარაკად.

***

ამ სახით ჩვენ გავსინჯეთ რამდენიმე ჩვეულება და ამასთანავე ვნახეთ, რომ რაც დღეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთია წარსულისა, უწინ იმას თავისი აზრიცა ჰქონდა და მნიშვნელობაცა. შემცდარი იყო ეს აზრი, თუ არა, ამაზედ არას ვამბობთ, მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ მაშინდელი რწმენა იმ დროისა და განათლების შესაფერი იყო. დრო თავისას მოიტანს და რამდენადაც კაცობრიობა უფრო მეტს ცოდნას, სწავლას, განათლებას შეიძენს, იმდენად ყოველი ტყუილ-მორწმუნეობა დაჰკარგავს თავის ძალასა. დღესაც ბევრი ჩვეულება მხოლოდ აჩრდილს-ღა წარმოადგენს ძველის ნამდვილის რწმენისას. რაკი ადამიანი განათლდება და მიჰხვდება, რომ ის, რაც წინად იმას მტკიცე და შეურყეველ რწმენად მიაჩნდა, ტყუილი ყოფილა, მაშინვე თავს ანებებს და გულიდგან იყრის.

საკვირველია მხოლოდ ადამიანის ერთი თვისება, რაც უნდა სწავლა, განათლება მიიღოს, რაც უნდა მტკიცედ დარწმუნდეს, რომ ძველ წინაპართა რწმენა სიცრუე იყოვო, მაინც ძნელად, ძალიან ძნელადა სთმობს ძველს რჯულსა, წინაპართა ანდერძსა. ასეთია ჩვეულების ძალა!

დონ-იაგო

გამგებელი პოლიციისა არის მასთანავე კომანდირი ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა. მან უნდა განუმარტოს და აუხსნას ხოლმე გუბერნატორებს, ქალაქის უფროსებს და ობერ-პოლიცმეისტერებს პოლიციის დეპარტამენტის საქმეთა გამო ყოველივე გარემოება, შესახები წინასწარვე ასაცილებელთა და აღმოსაფხვრელთა სახელმწიფო და ნამაულობათა და საზოგადო მშვიდობისა და წესიერების დაცვისა; მას შეუძლიან თავის საკუთარის ნებით გადასწყვიტოს და დაასკვნას თავისი აზრი სახელმწიფო დანაშაულობათა საგნების შესახებ ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ამის უფლება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს. მინისტრის ამხანაგსავე აქვს ნება თავადა-პირველი თვალ-ყურის გდება იქონიოს ყველა იმ ციხეებზე, საცა სახელმწიფო დამნაშავენი არიან დამწყვდეულნი.

ამ დღეებში მიდის იმიერ-კასპიის მხარეს ცალკე კომისია გენ. პაუკერის თავს-მჯდომარეობით; ამ კომისიამ უნდა ოფიციალურად ჩაიბაროს სახელმწიფოდ იმიერ-კასპიის რკინის გზა ჩარჯუამდე გაყვანილი.

**პარიჟი.** პრინცს ჟერომ ნაპოლეონს წვეთი დაეცა.

**ათინა.** კრიტის კუნძულზედ საქმე გამოკეთდა; შემდეგ უწესოება აღარა მომხდარა-რა.

**რომი.** შეიტანეს კანონ-პროექტი ჯარების მომატების თაობაზედ: 12 არტილერიის რაზმი 24-ს რაზმად გადაკეთდება, თვითოში რვა-რვა ბატარეია იქნება. ორი ახალი ცხენოსანი რაზმი უნდა შესდგეს, რვა როტა ციხის არტილლერია და ერთი რაზმი სამთო არტილლერია.

**სოფია.** ხმა არის, ვითომ როდოსლავოვი, სტოილოვი და ნაჩევიჩი სამსახურიდამ გამოდიანო. 52 კაპიტანი კიდევ მაიორებად გახადეს.

**ბომბეი.** ავღანისტანიდამ ამბავია მოსული, რომ შირზარებმა დაამარცხეს ემირის ჯარები ჯელლაბათთან და მარუჭთან მოკლეს სკადერ ხანი და 400 კაცი. კელათი და გილზაი აჯანყებულებს დაჭნებდნენ; გუსინი გარშემორტყმულია მოჯანყეთაგან; ყანდაჰარიც შიშს ქვეშ არის. გუბერნატორი ყანდაჰარისა და ჰერატისა ჯარების მოშველებას ითხოვს.

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს აპრილს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — › | 1 37 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — › | 260½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 240 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | — › | — › |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოე=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2876 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24—25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

აპრილი 30 დღით არის.

**23 დღე ხუთშაბათი.** წმ. დიდ. მოწ. გიორგისა და მოწ. ალექსანდრა დედოფლისა. კათოლ. გიორგისა, ფელიქსესი და ფორტუნატისა. სომხ. მე 19 დღე აღდგომიდგან. ტფილისში დაარსდა საცენზურო კომიტეტი, 1849 წ. ჭეშმარიტი შუადღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—2; მთვარე 13 დღისაა.

**24 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. საბა სტრატილატისა და ლირსისა ელისაბედისა. კათოლ. გოიცეხისა და ფიდელისისა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56, ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—3.

**25 დღე შაბათი.** წმ. მარკოს მახარებელისა. კათოლ. წმ. მოწ. მარკოს მახარებელისა. მუსულ. ალბარათის ღამე. იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ ფიცი დასდო რუსეთის ერთგულებაზედ და რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, 1804 წ.—ქართლის მეფე ვახტანგი საქართველოდგან რუსეთში წავიდა თავის მხლებლებით რუსეთის დედოფალ ეკატერინე I-თან, როცა საქართველო ოსმალებმა დაიპყრეს, და დაჯილდოებულ იქმნა ეკატერინეს მიერ წმ. ანდრიას ორდენით, დაენიშნა ჯამაგირი წელიწადში 12,222 მან. (1725 წ.) და შემდეგ სხვა-და-სხვა დროს მიებოძა აგრეთვე რამდენიმე სოფელი 2896 კაცით დასახლებული. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. მთვარე 15 დღისაა.

**26 დღე კვირა.** წმ. ეპისკ. ვასილისა. კათოლ. მარცელინასი და კლავდიასი. სომეხ. წითელი კვირა (კარმირ კირაკი). მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტფილისში დაარსდა საჯარო წიგნთ-საცავი, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—47, ჩადის 7—5.

**27 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქ. და მოწ. სვიმეონისა. კათოლ. ანასტაზია და სტეფანესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—6. მთვარე 17 დღისაა.

**28 დღე ხამშაბათი.** წმ. მოციქ. იასონისა. კათოლ. პავლესი და ვალერიანისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—56, ჩადის 7—7.

**29 დღე ოთხშაბათი.** წმიდათა ცხრა მოწამეთა. კათოლ. პეტრესი და თეოდორესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. მთვარე 19 დღისაა.

**30 დღე ხუთშაბათი.** წმ. მოციქ. იაკობისა და ძმისა წმ. იოანე მახარებელისა. კათოლ. სევერისა და სოფიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9. მთვარე 20 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი. . . . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატომიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი | თ | დ | ი | ლ | ი თ |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი.** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა.** . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი.** . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ღ ი | ს ი | თ | | ღ | ა | მ ი | თ |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა | მ ო თ ი | | | | დ | ი ლ | ი | თ |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


კერძო განცხადებანი

ვისაც ჰსურს გაჰყიდოს ქართულ-რუსული

ლექსიკონი ჩუბინაშვილისა,

ვსთხოვ „ივერიის" რედაქციაში დასტოვოს თავისი ადრესი. (2—2)

ისყიდება

კონფექტები რუსთაველი

ეს „კონფექტები" კარგად შემზადებულია; თითოეული „კონფექტი" შეხვეულია ქაღალდში, რომელზედაც დაბეჭდილია ხატები და ანდაზად გადაქცეული ლექსები „ვეფხვის ტყაოსნიდგან" და წვეულებებში შეადგენენ საუცხოო შესაქცევარსა.

კანდიტერი ი. უზბაშოვი, ერევნის მოედანზე, წინამძღვრიანთ სახლებში. (3—3)

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, ქუთაისში ქილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა,

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და საზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბ-ნთ გაჭართ იმდენი დავუთმობთ თუთუნის ხეიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—13)


Дов. ценз. Тиф. 22 апрѣля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე